

„უჩინარი“ ადამიანების, ერთ-ერთი ჯგუფის, ფსიქური ჯანმრთელობის პრობლემები და ტრავმული  
გამოცდილება

„უჩინარი“ ადამიანების, ერთ-ერთი ჯგუფის, ფსიქური ჯანმრთელობის  
პრობლემები და ტრავმული გამოცდილება

დავით ვერძაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა „ფსიქური ჯანმრთელობა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯანა ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## სარჩევი

სარჩევი .....	2
განაცხადი.....	4
მადლობა .....	5
აბსტრაქტი.....	6
Summery .....	8
ცხრილების ჩამონათვალი.....	10
შესავალი.....	11
ლიტერატურის მიმოხილვა: .....	13
ტერმინების განმარტებები.....	13
სექსუალური მუშაობის ფენომენი.....	16
ფსიქიკული ჯანმრთელობის პრობლემები ტრანსგენდერ ადამიანებში .....	17
კომერციული სექს მუშაობა და ფსიქიური ჯანმრთელობა.....	20
ბავშვობაში გადატანილი ტრავმა.....	20
ძალადობის გამოცდილება ტრანსგენდერ ადამიანებში .....	22
ფჯ პრობლემები.....	24
კვლევის მიზანი და საკვლევო კითხვები .....	26
კვლევის სამიზნე ჯგუფი.....	27
ეთიკური პროცედურები.....	27
მონაცემთა მენეჯმენტი.....	28
ხარისხის სტანდარტები .....	28
კვლევის ინსტრუმენტები: .....	29
ინსტრუმენტები:.....	30
კვლევის პროცედურა.....	32
რისკები და მათი შემცირება .....	33
მონაცემთა ანალიზი.....	34
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების სკრინინგის შედეგები.....	35
დასკვნა .....	40
რეკომენდაციები .....	41
კვლევის ლიმიტაციები.....	42

„უჩინარი“ ადამიანების, ერთ-ერთი ჯგუფის, ფსიქური ჯანმრთელობის პრობლემები და ტრავმული  
გამოცდილება

გამოყენებული ლიტერატურა.....	43
დანართი #1.....	45

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

დავით ვერძაძე

25.06.2017

## მადლობა

მოცემული ნაშრომის შესრულებაში გაწეული წვლილისათვის მადლობა მინდა გადავუხადო უპირველესად ჩემს ხელმძღვანელს დარეჯან ჯავახიშვილს, მისი მხრიდან გაწეული მხარდაჭერისთვის და დახმარებისთვის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობას“, რომელმაც უზრუნველყო საჭირო ფართი, ორგანიზაციის აუთორიტერს რესპონდენტების მოძიებისათვის, ქ-ნ თათული მარტიაშვილს რაოდენობრივი ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავებისთვის. ასევე მადლობა ქ-ნ მაგდა კალანდაძეს და სალომე ყანჩაველს აბსტრაქტის თარგმნისათვის.

## აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება იმ ტრანსგენდერი<sup>1</sup> ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ტრავმული გამოცდილებების კვლევას, რომლებიც ჩართულნი არიან სექს მუშაობაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს - ფსიქიკური ჯანმრთელობის<sup>2</sup> მდგომარეობის კვლევა, კონკრეტულად კი, პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის, დეპრესიისა და შფოთვისითი აშლილობების, სომატური ჩივილების და რესპონდენტების თვითშეფასების დონის განსაზღვრა. კვლევა კონცენტრირებულია საქართველოში, კონკრეტულად, ქალაქ თბილისში სექს მუშაკებად მომუშავე ტრანსგენდერ ადამიანებზე.

ჩემს მიერ მოცემული საკითხის კვლევით დაინტერესების მიზეზს წარმოადგენს „უჩინარი ადამიანების“ პრობლემების სიმწვავე, და, ამავე დროს, საზოგადოების მხრიდან მათი მდგომარეობის მიმართ ნაკლები დაინტერესება და არააქტუალურად აღქმა. ინფორმაცია ჩემი კვლევის თემასთან დაკავშირებით არის ძალიან მწირი. მე დასაქმებული ვარ ლგბტიქ სამიზნე ჯგუფისათვის მომუშავე სერვისში, სადაც ბენეფიციარების ნაწილს წარმოადგენენ ტრანსგენდერი პირები. მათთან ყოველდღიური ურთიერთობის საფუძველზე თვალნათლივ ვხედავ პრობლემებს რომელთა წინაშე ისინი დგანან, მათი უფლებების უხემს დარღვევებს, ვიცნობ მათი სიცოცხლის ხელყოფის

---

<sup>1</sup> ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრანსვესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

<sup>2</sup> კეთილდღეობის მდგომარეობა სოციალური, სულიერი, კოგნიტური და ემოციური ასპექტების ჩათვლით; მდგომარეობა, როდესაც პიროვნება ავლენს და ახორციელებს საკუთარ შესაძლებლობებს, შეუძლია გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ ჩვეულებრივ სტრესებს, შეუძლია პროდუქტიული და ნაყოფიერი მუშაობა და წვლილის შეტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ფაქტებს. არსებული მძიმე ვითარების გათვალისწინებით, ჩემი არჩევანი შევაჩერე მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევაზე. ნაშრომის მომზადების პროცესში ვიხელმძღვანელებ ტრიანგულაციური მიდგომით, რაც გულისხმობს რამდენიმე კვლევის მეთოდის ერთდროულ გამოყენებას. მოცემული ნაშრომის ფარგლებში გამოვიყენე: 1) დოკუმენტების ანალიზი (მოცემულ თემაზე არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები); 2) ჩავატარე ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ტრანსგენდერ ადამიანებთან რომლებიც სექს მუშაობას ეწევიან. კითხვარი იყო წინასწარ შემუშავებული და შედგებოდა სამი ძირითადი ნაწილისგან: დემოგრაფიული ბლოკი, იდენტობის თავისებურებების შემსწავლელი ბლოკი და სქრინინგ ინსტრუმენტების ბლოკი, რომელიც თავის მხრივ შედგებოდა შფოთვის, დეპრესიისა და პოსტ ტრავმული სტრესული აშლილობის სკრინინგ-ინსტრუმენტებისაგან. კვლევაში ჩართვას წინ უძღოდა პოტენციური რესპონდენტისათვის კვლევის აღწერა მისგან ინფორმირებული თანხმობის მოპოვების მიზნით, და თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი ფორმის ხელმოწერა.

კვლევის სამიზნე ჯგუფის წარმოადგენენ ზრდასრული ტრანსგენდერი ადამიანები, რომლებიც ჩართულნი არიან სექს მუშაობაში. რესპონდენტთა მინიმალურ ასაკი იყო 18 წელი, მაქსიმალური - 35 წლის

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფ<sup>3</sup>ჯ, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა)<sup>4</sup>, დეპრესია, შფოთვა, სომატური ჩივილები, , ლგბტ<sup>5</sup>, ტრანსგენდერი, ტრანსგენდერი კაცი, ტრანსგენდერი ქალი, სექს მუშაკი<sup>6</sup>, სექს მუშაობა, პროსტიტუცია, სექსუალობა.

---

<sup>3</sup> ფსიქიკური ჯანმრთელობა

<sup>4</sup> ხანგრძლივი და პათოლოგიური რეაქცია განსაკუთრებული ინტენსივობის მქონე სტრესულ ვითარებაზე

<sup>5</sup> აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების აღსანიშნავად.

<sup>6</sup> ადამიანი, ინდივიდი, რომელიც ჩართულია კომერციულ სექს სამუშაოში ფინანსური მოგების თვალსაზრისით.

## Summery

The study examines the mental health and the traumatic experiences of the transgender persons involved in the sex work. The goal of the study is to research the mental health state, specifically, the post traumatic stress disorder, depression and anxiety disorders, somatic distress, and to determine the level of self-esteem of the respondents. The study is concentrated on the transgender persons working as sex workers in Georgia, specifically, in the city of Tbilisi.

The reason for being interested in the research of the question stated above is the severity of the problems of the “invisible people” as well as the the lack of interest from the general public towards these issues and their perception of these problems as minor and insignificant. The information regarding the topic of my study is scarce. I am employed at the service aimed at LGBTQI target group, where part of the beneficiaries are transgender persons. During my daily interactions with them I can clearly see the problems they are facing, the drastic violations of their rights and I know of the facts of their lives being taken. Considering the existing difficult conditions, I decided to study the state of their mental health. I used the triangulation approach in preparing my study, which involved using several research methods simultaneously. In the scopes of this study I have: 1) used the document analysis (the existing local and international research on the given topic); 2) conducted semi-structured interviews with the transgender persons who engage in sex work. The questionnaire was prepared ahead of time and consisted of three main parts: the demographic block, the block studying the peculiarities of the various identities and the screening instruments block, which, in itself, consisted of the screening instruments of the anxieties, depression and the post traumatic stress disorder. The involvement in the study was preceded by describing the study to the potential respondent with the aim of receiving an informed consent from their side, and in case of consent, a signature of the subsequent forms.



„უჩინარი“ ადამიანების, ერთ-ერთი ჯგუფის, ფსიქური ჯანმრთელობის პრობლემები და ტრავმული  
გამოცდილება

The target group of the research were the transgender persons involved in sex work. The minimum age of the respondents was 18, the maximum age was 35.

**Keywords:** mental health, focus group, post traumatic stress disorder (PTSD), depression, anxiety, somatic distress, LGBT, transgender, transgender man, transgender woman, sex worker, prostitution, sexuality.